საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2146/01
10/03/2021

2146-01-2-202103101159

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 15 თებერვლის N2428 წერილი, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბენარას მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობი 108860 მ^2), 8 309 745 ტონა ბენტონიტური თიხის მოპოვებას.

მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ 2020 წლის 4 თებერვალს სამინისტროში წარმოდგენილი იყო სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს N1708 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხებოდა ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბენარას მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობი 278130 მ^2), 16 613 000 ტონა ბენტონიტური თიხის მოპოვებას. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, 2020 წლის 6 თებერვლის N1425/01 წერილით გეცნობათ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართის 26-ე პუნქტის შესაბამისად, **წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.** ვინაიდან, თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ფართობი შეადგენდა 278130 მ^2-ს, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარედგინა სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

წარმოდგენილი Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების გადამოწმებით დგინდება, რომ 2021 წლის 15 თებერვლის N2428 სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია ემთხვევა 2020 წლის 4 თებერვლის N1708 სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ტერიტორიის ნაწილს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის (ბენტონიტური თიხის) მოპოვებისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის ფართობი.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე